



## ინფორმაცია

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის მეორე ნახევრის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი;
  2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
    - 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
    - 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

#### 1. შესავალი

2013 წლის მეორე ნახევარში სულ განხილულია 207 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 29 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20 გადაწყვეტილება-განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა 19 საქმე; მცხეთის რაიონულმა სასამართლომ – 1 საქმე);
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 9 გადაწყვეტილება-განჩინება (ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა – 5, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 2, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ – 1, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ – 1).

#### 2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

##### 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 390.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; 377.1 და ასკ-ის 32.4 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1356-12, 04.12.2012) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3712-12, 26.09.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სსკ-ის 390.3 და 377.1 მუხლების უგულებელყოფით არ შეაფასა სააპელაციო საჩივრის მოტივები და საფუძვლიანობა, შესაბამისად, აპელანტის არგუმენტები არ იყო გაქარწყლებული, ასევე არ გაითვალისწინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოარკვია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ მესამე პირის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება – განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო, მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ იმსჯელა და არ შეაფასა ის გარემოება, თუ რატომ იყო ადმინისტრაციულ ორგანოში ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ საკადასტრო კოდსა და განსხვავებულ მისამართს შეიცავდა. ამ ვითარებაში, როცა აღნიშნული მტკიცებულება სადავოა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ, ასკ-ის 32.4. მუხლის საფუძველზე, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-60-55(კ-13) 02.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 32.4 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (3ბ/689-12, 21.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/271-2012, 27.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლო იყო, ვინაიდან მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზეც ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით და არ გაითვალისწინა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს სადავო აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-723-708(კ-12) 15.10.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105-ე და 390-ე მუხლები, 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-868, 10.05.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-181/11, 09.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასების მიღმა

დარჩა სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ეხება დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას, მხედველობაში არ მიიღო, რომ განსახილველ დავაში სადავო ხელშეკრულებით - ირღვევა მესამე პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები. სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის მოსაზრებებზე იმასთან დაკავშირებით, რომ მყიდველისათვის ცნობილი იყო ობიექტის მის მიერ შესყიდვის და საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ, არ შეაფასა, ასევე, მოწმეთა ჩვენებები, არ იმსჯელა სისწორის პრეზუმფციის გამოძრიცხავ გარემოებაზე. დადებული სადავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მხარედ არ იყო ჩაბმული საქმეში, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** ზაკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მათ რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. საკასაციო პალატის განმარტებით, კეთილსინდისიერი შეძენა გამორიცხულია, უკეთუ საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული უფლება ვერ გახდება შემძენის საკუთრება, თუნდაც მან არ იცოდეს რეესტრის უზუსტობის შესახებ. სსკ-ის 105-ე, 389-ე, 390-ე მუხლების თანახმად, სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა დაასაბუთოს თუ რატომ გაიზიარა ესა თუ ის მტკიცებულება და უარყო სხვა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ამ ნაწილში დაუსაბუთებელია და არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისთვის, დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში (**განჩინება №ბს-600-589(4კ-12) 14.11.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 377.1 და ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/622-12, 24.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/5309-11, 27.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, მიიჩნია, რომ საკომპენსაციო თანხის მიძღები ოჯახის მიერ თანხის აუთვისებლობის გამო, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება ჰქონდა მოსარჩელის ოჯახისთვის ჩარიცხული თანხა გადაერიცხა სხვა დაზარალებული (დევნილი) ოჯახისათვის. სააპელაციო პალატის განჩინება არ შეიცავდა რაიმე, თუნდაც პროცედურულ ნორმაზე მითითებას აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად, რითაც დაირღვა სსკ-ის 377.1 მუხლის მოთხოვნა, ასევე, სასარჩელო მოთხოვნის სწორად ფორმულირების მიზნით არ იქნა გამოიყენებული ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების გზით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის სწორად ფორმულირებისა და ერთი პროცესის ფარგლებში უფლების რეალიზაციის მიზნით, უნდა ისარგებლოს ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით და შესთავაზოს მოსარჩელეს სარჩელის ტრანსფორმირება. აღნიშნული საპროცესო დანაწესი მხარეს მისცემს უფლების რეალიზების შესაძლებლობას ერთი პროცესის ფარგლებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა

გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-573-563(კ-12) 09.07.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 162-ე, 172-ე და 105-ე მუხლები)**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-360-2012, 28.09.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-609/11, 31.05.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა ძირითად არგუმენტებზე, რასაც ემყარებოდა სასარჩელო მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავდა სსკ-ის 162-ე, 172-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად დასაბუთებულ მსჯელობას მათი შეფასებისა და გაქარწყლების შესახებ, ასევე მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებზე მსჯელობას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც საკითხი ეხება მიწის ნაკვეთების გადაფარვას, აზომვას, გეგმარებით და სხვა ტექნიკურ საკითხებს, საქსპერტო კვლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმის არსებითი გარემოებების დადგენისათვის. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის გეგმების კანონიერება და მისი შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან.

სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნის შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში, რაც არ განხორციელებულა მოცემულ შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-892-874(კ-12) 16.07.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის მე-10 მუხლი, ასკ-ის 32.4 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-593-2012, 08.02.13) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/245-2012, 22.10.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა სსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნა და არ გაითვალისწინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მოსარჩელების საჩივრის განხილვისას სრულყოფილად და სარწმუნოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ დაინტერესებული პირი მიმართავს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებს, მაშინ ეს ორგანოები ვალდებული არიან შეასრულონ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (განჩინებით) განსაზღვრული უფლებები, მათ შორის, მოახდინონ მათი რეგისტრაცია და ა.შ. ხელი შეუწყონ მის აღსრულებას. ზაკ-ის 96.2 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო გამოკვლეული. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და უნდა გამოიკვლიოს ზუსტად რომელ მხარეს არის გადაფარვა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა მოახდინოს სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-264-256(კ-13) 16.07.13).

**სასამართლოს შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-403-2012, 03.09.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/133-2012, 19.06.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით კანონიერად მიიჩნია სააღსრულებო ორგანოს მიერ ყადაღადადებული, სადავო ქონების განკარგვა, რის გამოც მოსარჩელე სამართლებრივი დაცვის გარეშე დარჩა. ასევე არ გამოარკვია, ჰქონდა თუ არა სარეგისტრაციო სამსახურს სასამართლოს განჩინებით გამოყენებული ყადაღის საკუთარი ინიციატივითა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გაუქმების უფლებამოსილება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ ყადაღის გამოყენების მიზანი არა მოპასუხის შეზღუდვა, არამედ მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებაა, რაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში გამოიხატება. სარეგისტრაციო სამსახურმა კი სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) უგულებელყოფით გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს მიერ გამოყენებული ყადაღა. საკასაციო სასამართლომ იმ საფუძველზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსისა და მიზნების გათვალისწინებით, სწორი სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს სადავო სამართალურთიერთობას, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-821-805(კ-12) 25.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 266-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-443-12, 15.11.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-173/11, 18.04.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.12.06 გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარებულია, რომ მოსარჩელე და მისი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოჯახებს წარმოადგენენ, ხოლო პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 266-ე მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სადავოდ გახდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოიპოვა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული იმ გადაწყვეტილების გათვალისწინებით უნდა მიეღოთ, რომლითაც დადგენილი და აღიარებულია მოსარჩელის და მისი დის დამოუკიდებელ ოჯახებად ცხოვრების ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ (**გადაწყვეტილება №81-76(კ-13) 19.09.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105-ე და 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-465-10, 07.10.10) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-274, 24.12.08) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, არ მიუთითებია რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მესამე პირისათვის გადაცემული

სადავო მიწის ნაკვეთი მის ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფებოდა, ასევე, არ გაითვალისწინა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე წლების განმავლობაში პრეტენზიას ორივე მხარე აცხადებდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე განმსაზღვრელია მიწის ფლობის ფაქტი, რაც სადავო იყო მხარეთა შორის და სააპელაციო სასამართლომ რაიმე მტკიცებულებაზე მითითების გარეშე მიიჩნია დადასტურებულად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ვის მფლობელობაში და სარგებლობაში იყო სადავო მიწის ნაკვეთი და იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობასა თუ მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების დასადგენად საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1720-1676(კ-11) 19.09.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 172-ე მუხლი, ასკ-ის 23-ე და 33-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3/922-12, 07.08.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1314-2012, 07.05.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა ექსპერტიზის დასკვნებსა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წერილებზე, აგრეთვე სათანადო საფუძვლის მითითების გარეშე უარყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. ასევე, არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ ასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის და ასკ-ის 33-ე მუხლით გათვალისწინებული დაკმაყოფილების წინაპირობებზე და საფუძველებზე, აგრეთვე წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური წინაპირობების არსებობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის, თუმცა მისი უარყოფა ხდება სასამართლოს დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე, სპეციალური ცოდნის არქონის ან წარმოდგენილ მტკიცებულებათა არასარწმუნოების შემთხვევაში, გარემოებათა დამატებითი გამოკვლევის მიზნით, სასამართლოს, შეეძლო მოეწვია სპეციალისტი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ასკ-ის 33.1 მუხლის შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარი; უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთანავე უარი პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ გარემოებების გამოკვლევის მიზნით, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-733-717(კ-12) 26.12.13).

## 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები:

### სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 85-ე, 178-ე და 180-ე მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№ 3ბ/1627-12, 31.01.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3571-2012, 28.12.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა ზაკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნა და მიიჩნია, რომ აპელანტს ამოეწურა გასაჩივრების ერთვიანი ვადა, ასევე, არ იმსჯელა, რამდენად შესაბამისობაში იყო ადმინისტრაციული ორგანოების წერილები ზაკ-ით დადგენილი წესსა და პროცედურებთან.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველობა ლახავდა პირის კანონიერ მოლოდინს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსაგან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა - განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა შესაბამისი მითითებებით და დაინტერესებული პირს მისცეს მისი გამოსწორების შესაძლებლობა. ზაკ-ის 80.5 მუხლის შესაბამისად, განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამდენად, სასამართლოს უნდა ემსჯელა იყო თუ არა განცხადება ზაკ-ის 180-ე მუხლით დადგენილ ვადაში შეტანილი და იყო თუ არა დაცული ქ. თბილისის მერიის მიერ სადავო განკარგულების მიღებისას ზაკ-ით დადგენილი წესები და პროცედურები. აღნიშნული საკითხების გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-208-200(კ-13) 09.07.13).

### სასამართლოს შეცდომა („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-461-2012, 27.11.12) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/93, 27.06.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის შემოწმებისას არ იმსჯელა სარჩელის მოთხოვნაზე. „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის გამოყენებით, სასამართლომ დაადგინა მესამე პირის მიერ განხორციელებული მიშენებების უკანონობა და ამავდროულად მიიჩნია, რომ ნაგებობები არ იყო საფრთხის შემცველი, არ იმსჯელა და არ გააქარწყლა საჩივრის მოტივები გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობასთან დაკავშირებით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სახეზეა სასამართლო დავის იმგვარი გადაწყვეტა, რომ ერთი მხრივ, სასამართლომ დაადგინა სადავო მიშენებების უკანონობა, მეორე მხრივ, მოსარჩელეს დაევალა უკანონო მიშენებების მოთმენა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის კანონიერად გადაწყვეტისათვის საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოაყალიბოს ობიექტური სასამართლო დასკვნა - სადავო მიშენებებს აქვთ კანონგარეშე ხასიათი, თუ ის განეკუთვნება იმ კატეგორიის ნაგებობას, რომელზეც სპეციალური ნებართვის გაცემა საჭირო არ არის და შესაბამისად, მისი განხორციელებით სამართლებრივი წესრიგი არ ირღვევა. აღნიშნული საკითხების გამოკვლევის მიზნით, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება

და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-158-151(კ-13) 09.07.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1514-1515-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1412-12, 04.12.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2555-12, 22.08.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოარკვია ყადაღა იყო თუ არა წარდგენილი ტექნიკურიზაციის ბიუროში, ამით დაარღვია სკ-ის 1514-1515-ე მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია მარეგისტრირებელმა ორგანომ დაარეგისტრირა თუ არა ყადაღადღებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - ყადაღის გამოყენებით, სასამართლო უკრძალავს მოპასუხეს და აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს განკარგოს იგი ანუ ქონების გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება და ა.შ აღნიშნულ პირებს არ შეუძლიათ. სასამართლომ სკ-ის 1515-ე მუხლის შესაბამისად, უნდა იმსჯელოს, საჯარო რეესტრის სამსახურის ამოქმედების შემდეგ თუ ვის სამართლებრივ ვალდებულებას წარმოადგენდა ტექნიკურიზაციის ბიუროს მონაცემის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, დაინტერესებული პირის თუ თავად საჯარო რეესტრის. ასევე უნდა იმსჯელოს ტექნიკურიზაციის ბიუროს მონაცემის საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა აქარწყლებს თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნული საკითხების გამოკვლევის მიზნით, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-52-47(კ-13) 23.07.13).

**სასამართლოს შეცდომა („საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-5<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/523-12, 08.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/8526-2011, 13.02.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოარკვია და არ დაადგინა რეალურად სად ცხოვრობდა მოსარჩელე და არ გაითვალისწინა, რომ იგი შეყვანილი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიწოდებულ დევნილთა სიაში თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილიდან გამოსახლება კანონით განსაზღვრული სათანადო პირობების დაცვის გარეშე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, შეასრულა თუ არა აღმინისტრაციულმა ორგანომ კანონით მისთვის დაკისრებული ვალდებულება, მოსარჩელისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდისა ან სანაცვლო ფართით სათანადო უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-717-702(კ-12) 25.07.13).



**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 413-ე, 1008-ე და 129.2 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/319-12, 24.04.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/8843-2011, 30.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაეყენა სკ-ის 1008-ე მუხლს და მიიჩნია, რომ სარჩელი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოში აღიძრა სამწლიანი ვადის დარღვევით და არ გაითვალისწინა სკ-ის 129.2 მუხლის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 25 000 ლარის დაკისრება სამართლიან შესაბამისობაში არ იყო მიყენებულ ზიანთან.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ მოითხოვა მიყენებული ტრავმის შედეგად მომავალში და არა წარსულში გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ამასთანავე მომხდარი ავარიის შედეგად დამდგარი ზიანი განგრძობადი ხასიათისაა. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩოს დაკისრების მოთხოვნა შესაძლოა მკურნალობის უშედეგობის გამო დადგეს, რის გამოც ამგვარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დადგენილია არა სკ-ის 1008-ე მუხლის დანაწესით, არამედ სკ-ის 129-ე მუხლით. საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის სამართლიანი და გონივრული ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით, რაც არ სცილდება მსგავს შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურების სასამართლო პრაქტიკით დადგენილ საზღვრებს. საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (გადაწყვეტილება №494-488(2კ-12) 25.07.13).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109.1 მუხლი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულების 35-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/301-11, 12.01.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3ბ/301-11, 12.01.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელები იყვნენ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული სამოქალაქო პირები და არ იმსჯელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 109-ე მუხლის სადავო სამართალურთიერთობების მიმართ გამოყენების შესაძლებლობაზე. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №493 ბრძანებულების 33-ე და 33<sup>1</sup>-ე პუნქტებზე სამართლებრივი დასაბუთება, მაშინ როდესაც არ ჰქონდა გარკვეული მოსარჩელების სტატუსი, კერძოდ, მათ მიერ სამხედრო სტატუსით სარგებლობა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნის, შეჩერება არ ნიშნავს ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის მოქმედების შეჩერება არ ქმნის ერთგვრადი გასასვლელი დანმარების უფლების დაკარგვის საფუძველს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტისათვის საქმეზე უნდა გაირკვეს თუ რა სტატუსით

სარგებლობდნენ მოსარჩელები გათავისუფლების მომენტში, კერძოდ, მათზე მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის სტატუსის გავრცელების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1292-1277(კ-ს-11) 04.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 180.3 და მე-60<sup>1</sup> მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/789-12, 05.07.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1595-12, 16.05.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სადავო აქტების გამოცემისას არ დარღვეულა აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სზვა მოთხოვნები, მაშინ როდესაც ზაკ-ის 96.1 და 180.3 მუხლების მოთხოვნები მოპასუხის მიერ სადავო აქტების გამოცემისას უგულებელყოფილი იყო.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მარეგისტრირებული ორგანოს მიერ სადავო აქტების ვებ-გვერდზე გამოქვეყნება ვერ მიიჩნევა დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალურ გაცნობად. შესაბამისად, ზაკ-ის 180.3 მუხლის მიხედვით, გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, არსებობს ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-618-606(კ-12) 16.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები, მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/837-12, 09.08.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4585-12, 25.05.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობა დაადგინა ზაკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, იმსჯელა მხოლოდ მოსარჩელის კანონიერ ნდობაზე ისე, რომ არ დაადგინა დაპირების კანონიერება ზაკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხემ სადავო აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და დაიწყო ობიექტის მშენებლობა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერ ნდობის საფუძველს შეიძლება ქმნიდეს არა მხოლოდ აღმკურველი ადმინისტრაციული აქტი, არამედ აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სადავო აქტის საფუძველზე ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის სახელზე, შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის გაიცა ნებართვა და სანებართვო მოწმობა. აღნიშნულის საფუძველზე მოპასუხეს დაწყებული ჰქონდა ობიექტის მშენებლობა. შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა ჩატარებული აუქციონის შედეგების, აგრეთვე არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტის და გაცემული მშენებლობის ნებართვის მიმართ მოპასუხის კანონიერი ნდობის არსებობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-708-693(კ-12) 04.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 60<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და ასკ-ის 32.1 მუხლი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/149-12, 29.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/7617-11, 27.12.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, არ გაითვალისწინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხის განხილვა ზაკ-ის 95-ე მუხლის დაუცვლელად განახორციელა, რის გამოც დაარღვია ზაკ-ის 60<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ზაკ-ის 60<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ასკ-ის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული აქტი საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტი (**გადაწყვეტილება №ბს-617-605(კ-12) 26.12.13**)

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-424-2012, 28.09.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-147/12, 29.05.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის შემოწმებისას არ გამოარკვია, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენდა თუ არა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების საფუძველს, არ შეაფასა დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა სადავო აქტების გამოცემამდე. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ურთიერთშესაბამისობაშია იყო თუ არა მოპასუხეთა მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია, კანონიერად მიიჩნია სადავო რეგისტრაცია იმ დასაბუთებით, რომ საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრებაში არ იყო აღრიცხული სადავო მიწის ნაკვეთი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო პასუხისმგებელია რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვისას უნდა გამოეკვლია მარეგისტრირებული ორგანოს მიერ სწორად განხორციელდა თუ არა რეგისტრაცია და წარდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებდა თუ არა მათ უფლებას მიწის ნაკვეთის სადავო ნაწილზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-898-880(კ-12) 09.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლი, სკ-ის 129-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2794-10, 26.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4469-10, 30.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ პრემია არ არის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, მას

არ აქვს ხელფასის სტატუსი და იგი წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომელზეც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მოქმედება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პრემია განიხილება ხელფასის შემადგენელ ნაწილად, ხელფასის დანამატად, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს პრემიის სამართლებრივ სტატუსს. პრემიის სამართლებრივ ბუნებას არ ცვლის ის ფაქტი, რომ იგი გაიცემა პერიოდულად. მისი გაცემა გარკვეული ინტერვალებით არ წარმოშობს სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისთვის, პრემიის პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევის საფუძველს. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ გასაცემლებზე (მათ შორის, პრემიაზე) ხანდაზმულობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1445-1427(კ-11) 04.07.13).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-7 ნაწილი, სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1470-12, 19.02.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/7536-11, 27.09.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ ზაკ-ის მე-60<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება და სადავო აქტის მოქმედების შეწყვეტის განსაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია მესამე პირები კეთილსინდისიერ შემძენებად, რომ არ გაითვალისწინა სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლების მოთხოვნები და არ გამოარკვია, იცოდა თუ არა შემძენმა, რომ არსებობდა სადავო მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე განეკუთვნება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება გასაჩივრებული აქტის ბათილობისას კი ხელმძღვანელობს ასკ-ის 32-ე მუხლით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია ვერ გამოდგება შემძენის დაცვის არგუმენტად, თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა იცოდა უფლების ხარვეზის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-192-184(3კ-13) 16.07.13).

**სასამართლოს შეცდომა („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1345-12, 21.11.12) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/55-12, 11.09.12) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტების მიღებისას არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილებისათვის, ვინაიდან 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგავს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებას და საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ არ შეიძლება გავრცელდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლი, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლისა და სკ-ის მე-6 მუხლის შესაბამისად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია, ან აუარესებს პირის მდგომარეობას. ნორმა, რომლისთვისაც კანონმდებელს უკუძალა არ მიუნიჭებია, ვრცელდება იმ სამართალურთიერთობაზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-57-52(კ-13) 03.10.13**).

**სასამართლოს შეცდომა („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 16.2 მუხლი, ზაკ-ის 180-ე და 182.2 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/818-12, 30.10.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/8898-11, 09.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 16.2 მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღებიდან და არ გაითვალისწინა სსიპ საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ მე-5 და 6.3 და ზაკ-ის 180.1 და 182.2 მუხლების მოთხოვნები, რის გამოც სადავო აქტი ზაკ-ის 182.2 მუხლის მოთხოვნის დაუცველად გამოიცა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 16.2 მუხლის დებულების დაკონკრეტება მოცემულ შემთხვევაში მოხდა „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ 6.3 მუხლში, რომლის შესაბამისად სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან/ ჩაბარებიდან (და არა გადაწყვეტილების გამოტანიდან) 3 თვის ვადაში. ამდენად, გასაჩივრების ვადა აითვლება არა გადაწყვეტილების მიღებიდან, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან. ზაკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად

ცნო სადავო აქტი და „საქპატენტის“ სააპელაციო პალატას დაავალა მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა (გადაწყვეტილება №ბს-854-836(კ-12) 10.10.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 487-ე და 423-ე მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ/241-12, 20.09.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-610/11, 09.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სკ-ის 487-ე მუხლის მოთხოვნის უგულებელყოფით, მიიჩნია, რომ აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონება იყო შეთანხმებული ხარისხის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და მასზე მესამე პირები არანაირ პრეტენზიას არ აცხადებდნენ. **საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 423-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია „ბეს“ მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან „ბე“ უკან უნდა დააბრუნოს. ამასთან, „ბეს“ მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ, როგორც გამყიდველმა, რამდენად უზრუნველყო მყიდველი-სათვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა და გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, რამდენად ეკისრებოდა მყიდველს უძრავი ქონების ღირებულების სრულად გადახდის ვალდებულება ანუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო თუ არა „ბე“-ს მიმღების ბრალეული ქმედებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-876-858(კ-12) 03.10.13).

**სასამართლოს შეცდომა („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი, საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 63.2 მუხლი, ზაკ-ის 60<sup>1.5</sup> და 184-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1050-12, 22.08.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/814-12, 11.06.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონში 20.12.2011 წ. №5558 კანონით შეტანილი ცვლილება, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლისა და ზაკ-ის 184-ე და ასკ-ის 29-ე მუხლის მოთხოვნები, არასწორად გამოიყენა „შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 24.03.2009წ. №57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ისე მიიჩნია სადავო აქტები კანონიერად, რომ არ იმსჯელა სამშენებლო ნებართვის და დამტკიცებული პროექტის მოქმედების შემთხვევაში ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაჯარიმების შესაძლებლობაზე. დაუსაბუთებელია აგრეთვე სასამართლოს მოსაზრება გაუქმებული აქტების მიმართ კანონიერი ნდობის არარსებობის შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ არ იკვეთება საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 63.2 მუხლის გამოყენების პირობები. პალატამ აღნიშნა,

რომ კანონიერი ნდობა დაცვის ღირსია, უკეთუ დაინტერესებულმა მხარემ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, განხორციელებული ღონისძიებებით მიიღო სარგებელი და აქტის ბათილად გამოცხადებით მას მიაღვა ზიანი. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოცხადებლობით მესამე პირებისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-746-730(კ-12) 14.11.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1182-ე და 1006.1 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლო (№3ბ/348-13, 13.05.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/800-11, 07.02.13) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის) იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის სიცოცხლემდე, ასევე, არასწორად განმარტა სკ-ის 1006.1 და 1182-ე მუხლები და მიიჩნია, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი ოჯახის ყველა წევრს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სარჩოს ოდენობის სწორად დადგენა, რათა გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირისათვის შესაბამისი ოდენობის სარჩოს გადახდით მიღწეულ იქნეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩენ პირად მიიჩნევა არა ოჯახის ყველა წევრი, არამედ დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელსაც დამოუკიდებლად საკუთარი რჩენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს არასრულწლოვნობის ან შრომისუნარობის გამო. საქმეში არ არის რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ არსებობდა აწ. გარდაცვლილის მხრიდან მეუღლის კანონისმიერი რჩენის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრა არასრულწლოვნის სასარგებლოდ მარჩენალის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს – დამატებით 147 ლარის ანაზღაურება (გადაწყვეტილება №ბს-378-367(კ-13) 14.11.13).

**სასამართლოს შეცდომა („ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№ბს-3ბ/1605-12, 22.01.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/297-12, 12.11.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა ის ფაქტი, თუ რამდენად სწორად განხორციელდა მოსარჩელის ქმედების კვალიფიკაცია და მისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის დაკისრება, ასევე, არ გაითვალისწინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს

სპეციალურ მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისი კანონის ნორმებთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები უნდა გაეთვალისწინებინა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული სახდელი არა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის პირველი ნაწილით უნდა დაკისრებოდა, რადგან პირველი და მეორე სამართალდარღვევა არაერთგვაროვან/სხვადასხვა სამართალდარღვევას წარმოადგენდა, ხოლო მესამე სამართალდარღვევა კი – სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი გადაცემის ნაწილში – პირველი სამართალდარღვევის, ხოლო ინფორმაციის ვადაში წარუდგენლობის ნაწილში – მეორე სამართალდარღვევის იდენტური იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-177-170(კ-13) 26.12.13).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი და ზაკ-ის 83-ე და 85-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№ბს-3ბ/1018-12, 16.08.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2431-12, 19.06.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელის მიერ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობა და ხარვეზის შესავსებად მოთხოვნილი დოკუმენტის წარუდგენლობა გამოწვეული იყო მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო და მისი ბრალის გარეშე, არ გამოარკვია ადმინისტრაციული ორგანო უნდა დახმარებოდა თუ არა მას მოთხოვნილი დოკუმენტის მოპოვებაში. ასევე, არ გაითვალისწინა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა არ უნდა იქნეს გამოყენებული დაინტერესებული მხარის საზიანოდ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია და ისე დატოვა განუხილველად განცხადება, რომ არ შეუფასებია მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობა, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა განმცხადებლის დახმარებასა და შესაბამისი მიმართვის გაცემაზე, რის გამოც მოსარჩელეს არ გააჩნდა სამართლებრივი მექანიზმი იმისა, რომ დამოუკიდებლად, ადმინისტრაციული ორგანოს დახმარების გარეშე მოეპოვებინა ხარვეზის გამოსასწორებლად წარსადგენი დოკუმენტი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დანაწესი მიწის პრივატიზების დროს არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც დამატებითი ბარიერი. წარმოდგენილი მტკიცებულებების სათანადოდ გამოკვლევისა და სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შეფასების მიზნით საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-779-763(კ-12) 03.10.13).



### 3. დასკვნა:

შესწავლილი ანალიზი შეეხო საკასაციო სასამართლოს განჩინება-გადაწყვეტილებების დასაბუთებას, რაც გახდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძველი. ასეთი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის ჩამოყალიბება:

- სასამართლომ სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, ექსპერტის დასკვნები, ასევე სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავდა დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, აპელანტის მოსაზრებები არ იქნა გაქარწყლებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებული იყო;
- სასამართლო წესით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შეუძლებლობისას, როდესაც ვერ ხერხდებოდა სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება;
- სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 377-ე მუხლის შესაბამისად არ შეამოწმა სააპელაციო საჩივრის ფარგლები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით და არ გამოიყენა ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება, რის გამოც სარჩელი არასწორად ჩამოყალიბდა, რამაც განაპირობა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა;
- სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 162-ე მუხლი ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და სსკ-ის 172-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით არასრულყოფილად შეაფასა მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა;
- სასამართლომ გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, რითაც დაარღვია სსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნები. დადებული სადავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არ ჩართულა საქმეში მხარედ, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი;
- სსკ-ის 105-ე, 249-ე, 389-ე, 390-ე მუხლების თანახმად სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ დაასაბუთა თუ რატომ გაიზიარა ესა თუ ის მტკიცებულება და უარყო სხვა მტკიცებულებები;
- სააპელაციო სასამართლომ „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლის პირველ პუნქტის მოთხოვნის უგულებელყოფით სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა სადავო სამართალურთიერთობას;
- საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 266-ე მუხლის მოთხოვნები, ასევე სსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესრულების აუცილებლობის შესახებ;
- სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ ასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის და ასკ-ის 33-ე მუხლით გათვალისწინებული დაკმაყოფილების წინაპირობებზე და საფუძველებზე, აგრეთვე წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური წინაპირობების არსებობაზე.

- სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იყო გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლისა და სკ-ის მე-6 მუხლის მოთხოვნები კანონის უკუქცევითი ძალის შესახებ, რის გამოც მოსარჩელის მიმართ არასწორად იქნა გავრცელებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლი;
- სადავო აქტი კანონიერების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული აქტი ზაკ-ის 180.1 და 182.2 მუხლების მოთხოვნის დაუცველად გამოიცა;
- სააპელაციო სასამართლომ სადავო აქტის კანონიერების შემოწმებისას არ გაითვალისწინა ზაკ-ის 180.3 მუხლის მოთხოვნები;
- სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა ზაკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობის სრული იგნორირების თაობაზე, ასევე არ გაითვალისწინა ზაკ-ის 80.5 მუხლის მოთხოვნები;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა ზაკ-ის 184-ე და ასკ-ის 29-ე მუხლების მოთხოვნები და ისე მიიჩნია სადავო აქტები კანონიერად, რომ არ იქონია მსჯელობა სამშენებლო ნებართვის და დამტკიცებული პროექტის მოქმედების შემთხვევაში ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაჯარიმების უფლებაზე, ასევე არ მიიღო მხედველობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნა;
- სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტაცია გასაჩივრებული აქტების კანონიერებაზე, რომ არ გაითვალისწინა ამ აქტის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობა, რითაც დაარღვია ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მოთხოვნები;
- სააპელაციო სასამართლომ ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და ასკ-ის 32.1 მუხლის დარღვევით ჩათვალა სადავო ადმინისტრაციული აქტი კანონიერად, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის განხილვა ზაკ-ის 95-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველად განხორციელა;
- სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იქნა გათვალისწინებული სკ-ის 483-ე და 487-ე მუხლების მოთხოვნები;
- სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 1006.1 და 1182-ე მუხლები და არ გაითვალისწინა, რომ სარჩენ პირად მიიჩნევა არა ოჯახის ყველა წევრი, არამედ დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელსაც დამოუკიდებლად საკუთარი რჩენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს არასრულწლოვნობის ან შრომისუუნარობის გამო;
- სასამართლომ არ შეაფასა მოსარჩელის ქმედების კვალიფიკაცია და მისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის დაკისრება.
- სააპელაციო სასამართლომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად დაადგინა მესამე პირის მიერ განხორციელებული მიშენების უკანონობა, ხოლო სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ამ შემთხვევაში მესამე პირები ვერ შეძლებდნენ საცხოვრებელი ფართით სარგებლობას;

- სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 185-ე მუხლის უგულებელყოფით არასწორად გამოიყენა სკ-ის 187-ე მუხლი;
- სააპელაციო საჩივრის განხილვისას სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 1008-ე მუხლით და არ გაითვალისწინა სკ-ის 129.2 მუხლის მოთხოვნები;
- სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 1514-1515-ე მუხლების დარღვევით არ გამოარკვია, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განკარგულება იყო თუ არა წარდგენილი ტექტიურში;
- სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილიდან გამოსახლება კანონით განსაზღვრული სათანადო პირობების დაცვის გარეშე;
- სააპელაციო სასამართლომ კომპენსაციის საკითხის განხილვის დროს არ გაითვალისწინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109-ე მუხლი;
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლი და მიიჩნია, რომ პრემია არ ითვლება ხელფასის შემადგენელ ნაწილად;
- სადავო რეგისტრაციის კანონიერების შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნები;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დანაწესი მიწის პრივატიზების დროს.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლის  
და განზოგადების განყოფილება**